11/06/2025

MES 5 25 0000650732

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2025 წლის 28 მაისს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=85226830258
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

- **ელენე კაკაბაძე** - პროფესიული განათლების ექსპერტი - საბჭოს თავმჯდომარე;
- **ხათუნა ჩხარტიშვილი** - სს "გუდვილის" HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
- **ნათია ბუთხუზი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი - საბჭოს მდივანი;
- **გიორგი ვეკუა** - სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი;
- **ხათუნა ცერცვაძე** - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე;
- **დავით ჯინჭარაძე** - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი;
- **ანა არაშიძე** - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
- **ეკატერინე გიგაშვილი** - პროფესიული განათლების ექსპერტი;
- **გოჩა გოგიტიძე** - სსიპ - სასწავლოს უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი;
- **გოგიტა მშვენიერაძე** - ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ "კონტრუქტ2"-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნინო ხელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი-ბათუმი
გენერალური დირექტორი - ნინო ჩიკვაშვილი;
აღმასრულებელი დირექტორი - ნათია კილაძე;
სკოლის დირექტორი - ნანა ჩარექიშვილი;
ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი - თიესა მორჩაძე;
ხარისხის მართვის მენეჯერი - თამთა კობახიძე;
პროფესიული და უწყვეტი განათლების მხარდაჭერის მენეჯერი - მედეა მჭედლიშვილი.

სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია
განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - რომან მამულაძე;
საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი - გოჩა გოგიტიძე;
საზღვაო აკადემიის პროფესიული პროგრამების მენეჯერი - ირინა ინწკირველი;
პროფესიული მომზადების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - ნანა ბერიძე;
"ელექტროობის" მესამე და მეოთხე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი - მაია ტუღუში;
"ტვირთების ექსპედირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - ქეთევან ბერიძე;
"საწყობის ოპერირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - არჩილ ართმელაძე;
შპს „ენერგო პრო ჯორჯია“-ს რეგიონული საკოორდინაციო სამმართველოს უფროსი საკადრო საკითხებში - ლილი ოხროშიძე;
შპს 'ნოვა" წარმოებისა და ლოგისტიკის დირექტორი - ალექსანდრე მეხრიშვილი.

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი
დირექტორი მანანა მოისწრაფიშვილი.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 12:00 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. შპს ამერიკულ საერთაშორისო სკოლა პროგრესისთვის - ბათუმი, "Front-end დეველოპმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის "ელექტროობის" (მესამე დონე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის "ელექტროობის" (მეოთხე დონე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის "საწყობის ოპერირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის "ტვირთების ექსპედირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის, საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში "ტვირთების ექსპედირება" ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების შესახებ საკითხის განხილვა;
7. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის, საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში "საწყობის ოპერირება" ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს ჰქონდა შუამდგომლობა.

შუამდგომლობა საბჭოს სხდომაზე წარადგინა, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა. მისი განცხადებით, 2025 წლის 15 აპრილს გამართულ საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ საკითხი. აღნიშნულ საკითხზე საბჭოს მიერ ჩანიშნული იქნა მონიტორინგი, სადაც საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, გამოთხოვილ იქნას და მიეწოდოს საბჭოს შუალედური ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მიდის პროცესები დაწესებულებაში, იმ მიზნით, რომ სექტემბერში სწავლის დაწყებამდე, სტუდენტებისთვის მოწესრიგებული იყოს დასკვნაში აღნიშნული გარემოებები, რაც

ძირითადად შეეხებოდა განმახორციელებლების, თანამშრომლების მოზიდვას, შერჩევას და საქმიანობაში შესვლის პროცედურებს. ასევე, საუბარი იყო პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მარეგულირებელ დოკუმენტში ცვლილებების განხორციელებასთან დაკავშირებით, შესაბამისად შუალედური ინფორმაციის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 30 ივნისი, ასევე, მონიტორინგის ვადად განისაზღვრა 2025 წლის 5 სექტემბერი, თუმცა საბჭოს მიერ არ არის განსაზღვრული მონიტორინგის განხორციელების ფორმა და მონიტორინგის ფარგლები, ამდენად, ცენტრი შუამდგომლობით მიმართავს საბჭოს კიდევ ერთხელ დაზუსტდეს მონიტორინგის კომპონენტები და მონიტორინგის განხორციელების ფორმატი.

საბჭოს თავმჯდომარეს, ელენე კაკაბაძეს, შპს თავისუფალი ხედვის აკადემიასთან აქვს აცილება, რის გამოც აღნიშნული შუამდგომლობის საკითხის განხილვისას განისაზღვრა თავმჯდომარის მოადგილე ხათუნა ჩხარტიშვილი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ხათუნა ჩხარტიშვილმა დააზუსტა, რომ ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, მონიტორინგს ექვემდებარება 1.2, 3.2, 4.1, 4.2, 5.1 და 5.2 კომპონენტები, აგრეთვე ოთხივე საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში - 2.2, 2.3 და 2.4 კომპონენტები. გარდა ამისა, საჭიროა დაზუსტდეს მონიტორინგის განხორციელების ფორმატიც, რომელიც სასურველია განხორციელდეს ადგილზე ვიზიტით.

ხათუნა ჩხარტიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა გადაწყვეტილება, საბჭოს შუამდგომლობა ცენტრის მიმართ. კერძოდ, მონიტორინგი ჩაინიშნოს 1.2, 3.2, 4.1, 4.2, 5.1 და 5.2 კომპონენტებში, აგრეთვე ოთხივე საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში 2.2, 2.3 და 2.4 კომპონენტებში. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი, ხოლო მონიტორინგის ვადად განისაზღვროს 2025 წლის 5 სექტემბერი. რაც, შეეხება შუალედურ ინფორმაციას, შუალედური ინფორმაციის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 2025 წლის 30 ივნისი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

პირველი საკითხი: შპს ამერიკულ საერთაშორისო სკოლა პროგრესისთვის - ბათუმი, "Front-end დეველოპმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თამთა კვინიკაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანებით, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა Front- end დეველოპმენტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება, რომლის მიზნით განახორციელა ვიზიტი შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი- ბათუმში 2025 წლის 1 აპრილს. დაწესებულების ინფრასტუქტურისა და მატერიალური რესურსების დათვალიერება განხორციელდა, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის მიერ, ასევე დარგის ექსპერტის მიერ. ცენტრის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისობის მიზნით ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის ჩატარდა წინასწარი შეხვედრა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების (ZOOM) გამოყენებით, სადაც განხილული იქნა დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაცია, შეჯერებული იქნა საყურადღებო საკითხები და შემუშავებული იქნა ვიზიტის განრიგი. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა განრიგის შესაბამისად, რომლის ფარგლებში ექსპერტები დაწესებულებაში გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე, ბიბლიოთეკარსა და პროგრამის ხელმძღვანელს და პროფესიულ მასწავლებლებს. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, კოლეგიალურ და საქმიან ვითარებაში.

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს არ გამოვლენილა ხარვეზები და არ გაცემულა სტანდარტებთან შესაბამისობის და განმავითარებელი რეკომენდაციები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „Front - end დეველოპმენტი“

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებამ წარმოდგინა ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - ,,Front – end დეველოპმენტი“ მიზანშეწონილობის დასაბუთება“ და დასაბუთებულია რომ: დაწესებულების სამოქმედო არეალში არსებობს და პროგნოზირებადია მოთხოვნა შესაბამის უნარებზე/კომპეტენციებზე, რომელთა მიღწევასაც უზრუნველყოფს წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. საგანმანათლებლო პროგრამაში

გათვალისწინებულია ,,Fron – end დეველოპმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული რესურსი. ასევე, რესურსი შერჩეულ იქნა განმახორციელებელთა რეკომენდაციით, მისაღწევი სწავლის შედეგების გათვალისწინებით. დაწესებულებას პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის შეძენილი აქვს შესაბამისი მატერიალური აღჭურვილობა, რაც სავსებით საკმარისია კვოტით განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა სწავლების უზრუნველსაყოფად და განთავსებულია სკოლის A/B/C გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა 20. ლაბორატორია ინტეგრირებული მოდულებისათვის პროგრამით გათვალისწინებული მოდულების განხორციელება სასწავლო გეგმის შესაბამისად ისეა დაგეგმილი, რომ კვირეული დატვირთვა როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით, არ სცდება 40 საათს. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. წარმოდგენილია ,,Front – end დეველოპმენტის“ პროგრამის ინტეგრირებული და არაინტეგრირებული მიდგომებისათვის საპროგნოზო ბიუჯეტები. ამ ეტაპზე ბიუჯეტი იმგვარად არის შემუშავებული რომ გათვალისწინებულია მისი ვაუჩერული დაფინანსების შესაძლებლობა, რადგან IT მიმართულების პროგრამები ყველა წელია არის სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი პროგრამების ნუსხაში. ბიუჯეტი დაანგარიშებული ერთი ჯგუფისთვის. როგორც ინტეგრირებული, ასევე არაინტეგრირებული პროგრამის შემთხვევაში რენტაბელობის ზღვარია - 15-15 პროფესიული სტუდენტი. პროგრამის შემუშავების დროს გათვალისწინებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები, დარგის შესაბამისი ტექნოლოგიები, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისად. რაც რეალურად დაინერგება პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

საბჭოს თავმჯდომარემ დარგის ექსპერტს მიმართა კითხვით, როგორ შეაფასა ადამიანური რესურსის კვალიფიკაცია Front-End დეველოპმენტის მიმართულებით არის თუ არა კადრები საკმარისი და რამდენად შეესაბამებიან თანამედროვე ტექნოლოგიურ მოთხოვნებს.

დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამის განმახორციელებლებთან შეხვედრისას მისთვის თავიდანვე იყო მნიშვნელოვანი საკითხი მათი სხვა დაწესებულებებთან შესაძლო პარალელური დასაქმება, თუმცა აღმოჩნდა, რომ მასწავლებელი, რომელზეც იყო საუბარი, იმ დროისთვის უკვე დათხოვნილი იყო სხვა დაწესებულებიდან და შესაბამისად, დროის რესურსის თვალსაზრისით თავისუფლად ერგებოდა სასწავლო პროცესს. მეორე განმახორციელებელი, რაც შეეხება კიდევ ერთ განმახორციელებელს, აღნიშნული მასწავლებელი მრავალწლიანი გამოცდილების მქონეა როგორც პროფესიული, ასევე ზოგადი განათლების მიმართულებით, რაც დადასტურდა მისი რეზიუმეთიც.

საბჭოს თავმჯდომარემ დარგის ექსპერტს მიმართა კითხვით, როგორც დარგის წარმომადგენელმა, როგორ შეაფასა პროგრამის მოქნილობა შრომის ბაზრის საჭიროებებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

დარგის ექსპერტის განმარტებით, პროგრამირებაზე, განსაკუთრებით კი Front-End დეველოპმენტზე, შრომის ბაზარზე მაღალი მოთხოვნა ფიქსირდება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ Front-End წარმოადგენს პროგრამირების საწყის საფეხურს, რაც ერთგვარად ტრამპლინს

წარმოადგენს პროფესიული განვითარებისთვის. მისი თქმით, ეს მიმართულება არის შედარებით მარტივად შესასწავლი, რაც განსაზღვრავს მისი პოპულარობის მაღალ დონეს და ბაზრის მოთხოვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, რა ინიციატივებს ახორციელებს დაწესებულება პროგრამის პოპულარიზაციისა და აპლიკანტების მოზიდვის მიმართულებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პოპულარიზაციის ძირითადი არხებია სოციალური ქსელები, პირისპირ შეხვედრები დაინტერესებულ პირებთან და გასაუბრებები. ინტეგრირებული პროგრამის შემთხვევაში მიმდინარეობს აქტიური კომუნიკაცია როგორც მოსწავლეებთან, ისე მათ მშობლებთან, სადაც მათ დეტალურად აცნობენ პროგრამის შინაარსსა და შესაძლებლობებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები,

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს ამერიკულ საერთაშორისო სკოლა პროგრესისთვის - ბათუმი, "Front-end დეველოპმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :
მომხრე: 10
წინააღმდეგი : 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე და 62 - ე მუხლის შესაბამისად, შპს ამერიკულ საერთაშორისო სკოლა პროგრესს - ბათუმი (ს/კ: 445740075) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „Front-end დეველოპმენტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები **(დანართი 1).**

მეორე საკითხი: სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის "ელექტროობის" (მესამე დონე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დიახ**

საბჭოს წევრს, გოჩა გოგიტიძეს და დავით ჯინჭარაძეს ჰქონდა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასთან აცილება, ვინაიდან წარმოადგენენ დაინტერესებულს მხარეს, რის თაობაზეც გოჩა გოგიტიძემ და დავით ჯინჭარაძემ განაცხადეს სხდომის დღის წესრიგის გაცნობისთანავე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საბჭოს წევრების თვითაცილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, დიმიტრი ქარსელაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, "ელექტროობის" (მესამე დონე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით განახორციელოს ვიზიტი სსიპ -სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში 2025 წლის 3 აპრილს (მის: ქ. ბათუმი, რუსთაველის №53). ჯგუფმა შეადგინოს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2025 წლის 3 აპრილს განხორციელდა სსიპ -სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში (მის: ქ. ბათუმი, რუსთაველის №53). ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების ადმინისტრაციას და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. დათვალიერდა სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსები. დაწესებულებაში დასაქმებული არიან მასწავლებლები, რომლებიც განახორციელებენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ზოგადი და დარგობრივი

მოდულების სწავლებას . პროგრამის განმახორციელებლები ძირითადად არიან ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის დარგის სპეციალისტები და აკადემიური პერსონალი. აგრეთვე პარტნიორი ორგანიზაციებიდან მოწვეული სპეციალისტები. მათი პირადი საქმეები დაწვრილებით იქნა შესწავლილი. მასწავლებლების სამუშაო დატვირთვა შესაძლებელს ხდის ერთი აკადემიური წლის განმავლობაში შეუფერხებლად განახორციელოს სასწავლო პროცესი, რაც შეეხება დაწესებულების ინფრასტრუქტურას, ვიზუალური დათვალიერებით, სივრცე სადაც განთავსდებიან პროფესიული სტუდენტები (A,B,C გარემო) შესაბამისად მოწყობილია. შენობის ვიზუალური დათვალიერების დროს აღმოჩნდა, რომ დაწესებულებას გამოყოფილი აქვს მის ხელთ არსებული ფართი, რათა სასწავლო პროცესი წარმართოს შეფერხების გარეშე, როგორც პროფესიული, ასევე საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების მიმართულებით. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები გაწერილია ისე, რომ უმაღლესი და პროფესიული პროგრამების ერთობლივად განხორციელებას არ შეეშალოს ხელი. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო იმ პარტნიორ ორგანიზაციებს რომლებსაც თანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასთან. ესენია შპს „ენერგო პრო ჯორჯია „. შპს „ჩაქვი ასს“ და შპს „ამკა ენერჯი“ . ამასთან დაკავშირებით უშუალო ვიზიტები განხორციელდა შპს „ჩაქვი ასს“- ს როგორც მობილურ ასევე სტაციონალურ ლაბორატორიებში. აგრეთვე შპს „ ენერგო პრო ჯორჯია“-ს ერთ-ერთ ობიექტზე. ადგილობრივმა სპეციალისტებმა ექსპერტებს გააცნეს თითოეული დანადგარის ტექნიკური მახასიათებლები და მათი შესაბამისობა დარგობრივი მოდულების მოთხოვნებთან.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტის 2.4.1.1 მიმართებით, ,,პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;”

სასწავლო პროგრამაში გაწერილია მოდული ,,ჯანმრთელობა და უსაფრთხოება ელექტროობაში“, რომლის შესწავლაც არსებული გეგმით, გათვალისწინებულია სასწავლო კურსის ბოლო ნაწილში, მოდული, უმჯობესია ისწავლებოდეს სასწავლო კურსის ისეთი მოდულების განხორციელებამდე, რომელიც შეიცავს პრაქტიკულ სამუშაოებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ელექტროობა“ (მესამე დონე)

ექსპერტის განცხადებით, შედეგების მიღწევა შესაძლებელია პროგრამით გათვალისწინებული რესურსით - ადამიანური რესურსი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პრაქტიკის უზრუნველყოფის რესურსი და სასწავლო გარემოს მოდელების ((A, B, C) გამტარუნარიანობა. დაწესებულებას გააჩნია მაღალი დონის ადამიანური რესურსი, მრავალფეროვანი და მიზნობრივი მატერიალური რესურსი. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას თანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული სხვადასხვა მიზნობრივ დაწესებულებასთან, გაცნობითი პრაქტიკის მოდულის მიზნებისთვის . ესენია შპს „ენერგო პრო ჯორჯია“ . შპს „ჩაქვი ასს“ და შპს „ამკა ენერჯი“ . ამასთან დაკავშირებით უშუალო ვიზიტები განხორციელდა შპს „ჩაქვი ასს“- ს როგორც მობილურ ასევე სტაციონალურ ლაბორატორიებში. აგრეთვე შპს „ ენერგო პრო ჯორჯია“-ს ერთ-ერთ ობიექტზე. აღნიშნული ორგანიზაციები მზად არიან მიიღონ სტუდენტები და განავითარონ მათი პრაქტიკული უნარები პროგრამით გათვალისწინებული მოდულებისა და განრიგის მიხედვით. სტუდენტებს საშუალება ექნებათ პრაქტიკულად დააკვირდნენ მიმდინარე ტექნიკურ პროცესებს. პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეესაბამება პარტნიორი ორგანიზაციების შესაძლებლობებს. ყველა პრაქტიკული სივრცე როგორც ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში ისე პარტნიორ ორგანიზაციებში აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთით, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით (ცეცხლმაქრით და სხვა) ამკრძალავი და გამაფრთხილებელი პლაკატებით, შემოწმებული დამიწების კონტურით, და დიფერენციალურ დამცავი გამთიშველებით. სივრცეების ელექტრომომარაგება ხდება 220 v. 380ვ (3-ფაზა) ელექტრული ქსელით. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული

განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობები და პასუხისმგებლობები განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებით. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფინანსების მართვის სამსახურის მიერ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ბიუჯეტით განსაზღვრულია ფინანსური რესურსი, დადგენილი აქვს სტუდენტთა რენტაბელური რაოდენობა, შემოსავლების წყაროები, ხარჯები, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო დანახარჯები და შემოსავლები, რაც განსაზღვრავს პროგრამის განხორციელების რენტაბელობას და შედეგად უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, ორგანიზებული, გამართული, ეფექტური და სტუდენტთა ინტერესებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფა არის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილი. ელექტროობის (საბაზო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ჩარჩო დოკუმენტის თანახმად არ ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკის მოდულს. პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება იმიტირებულ სასწავლო გარემოში - უნივერსიტეტის ელექტროსამონტაჟო სახელოსნოში; მაღალი ძაბვის ლაბორატორია ელექტრო ტექნიკის ლაბორატორია. პროგრამით განსაზღვრული პრაქტიკული კომპონენტის სწავლის შედეგის მისაღწევად, გაცნობითი ხასიათის შეხვედრებისათვის გაფორმებულია მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დასკვნის მიხედვით, კოლეჯს არსებითი ხარვეზი არ გააჩნია და წარმოდგენილია მხოლოდ ერთი განმავითარებელი რეკომენდაცია, რომელიც უსაფრთხოების მოდულის სწავლებას შეეხება. თავმჯდომარემ დარგის ექსპერტს მიმართა თხოვნით, დაეზუსტებინა, უზრუნველყოფს თუ არა არსებული პრაქტიკა (უსაფრთხოების წესების გამოკვრა აუდიტორიებში და მათი გაცნობა სტუდენტებისთვის) პრაქტიკული საქმიანობის უსაფრთხო განხორციელებას და რამდენად მნიშვნელოვანია აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინება კოლეჯის მხრიდან.

დარგის ექსპერტის განმარტებით, უსაფრთხოების წესების გაცნობა და მათი ვიზუალური ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს მინიმალური სტანდარტების დაცვას და პრაქტიკული საქმიანობის უსაფრთხო განხორციელებას, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ რადგან პროგრამაში „ელექტროობა“ (მესამე დონე) უსაფრთხოების მოდულია ჩადებული, რეკომენდაციის მიწოდება ამ კუთხით მართებული იყო. ექსპერტის თქმით, დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა თავად შეაფასოს, საჭიროებს თუ არა დამატებით უსაფრთხოების მოდულის შემოტანას — რეკომენდაცია არაა სავალდებულო სახის.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ რეკომენდაცია ფორმალურად განმავითარებელია, იგი ეხება კრიტიკულ საკითხს, შრომის უსაფრთხოებას პრაქტიკულ პროცესებში ჩართვამდე. თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა, რომ უსაფრთხოების მოდულის დროული სწავლება არ უნდა იქნეს განხილული, როგორც უბრალო ტექნიკური საკითხი და მოუწოდა დაწესებულებას მკაფიო რეაგირებისკენ. შემდეგ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, როგორია მათი პოზიცია რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია უკვე გათვალისწინებულია და შესაბამისი ცვლილებები განხორციელებულია სასწავლო გეგმაში.

საბჭოს თავმჯდომარემ დარგის ექსპერტს მიმართა კითხვით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან – „ელექტროობა (მე-3 დონე)“ და „ელექტროობა (მე-4 დონე)“ – დაკავშირებით. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მესამე დონის პროგრამა გათვალისწინებულია იმიტირებულ სამუშაო გარემოში, ხოლო მეოთხე დონის პროგრამა – კოოპერაციული სწავლების ფორმატში, რეალურ სამუშაო გარემოში. დასკვნის მიხედვით, პროგრამების განხორციელებისთვის გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასა და რამდენიმე მიზნობრივ ორგანიზაციას შორის. აღნიშნულ პარტნიორ დაწესებულებებს განიხილავენ, როგორც სივრცეებს, სადაც სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ, პრაქტიკულად დააკვირდნენ მიმდინარე ტექნიკურ პროცესებს და განივითარონ შესაბამისი უნარები. თავმჯდომარემ მოითხოვა დაზუსტება, მესამე დონის პროგრამის იმიტირებულ გარემოში განხორციელებისას კონკრეტულად რომელ მოდულებზე ხორციელდება პრაქტიკა.

დარგის ექსპერტის განმარტებით, მესამე დონის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია „გაცნობითი პრაქტიკის“ მოდული. აღნიშნული მოდულის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, ექსკურსიის სახით ეწვიონ პარტნიორ ობიექტებს და ადგილზე გაეცნონ სამომავლო სამუშაო გარემოს სპეციფიკას. ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ ამ ეტაპზე ურთიერთობა პარტნიორებთან მნიშვნელოვანია მხოლოდ გაცნობითი მიზნებისთვის და არა სწავლის შედეგების მიღწევისა და შეფასებისთვის.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ მესამე დონის გაცნობითი პრაქტიკისთვის გაფორმებული ხელშეკრულება არ ითვალისწინებს სწავლის შედეგების მიღწევასა და დადასტურებას. შესაბამისად, პროგრამას კოოპერაციული სწავლების ფორმად მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს შესაბამისი სტატუსი, თუკი პრაქტიკა პარტნიორ ორგანიზაციებში რეალურად უზრუნველყოფს სასწავლო შედეგების მიღწევას. ამ შემთხვევაში გაცნობითი პრაქტიკა წარმოადგენს მხოლოდ ექსკურსიას, რომ გაეცნონ თავის სამომავლო სამუშაო გარემოს, ხოლო მოდულში აღწერილი მიზნების და სწავლის შედეგების მიღწევა ძირითადად მაინც საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხორციელდება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართ საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის "ელექტროობის" (მესამე დონე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :
მომხრე: 8
წინააღმდეგი : 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ემუხლის შესაბამისად, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას(ს/კ: 245427337) მიენიჭოს უფლება დამატებით

განახორციელოს დანართით განსაზღვრული "ელექტროობა" (მესამე დონე)პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 2).**

მესამე საკითხი: სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის "ელექტროობის" (მეოთხე დონე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დიახ**

საბჭოს წევრს, გოჩა გოგიტიძეს და დავით ჯინჭარაძეს ჰქონდა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასთან აცილება, ვინაიდან წარმოადგენენ დაინტერესებულს მხარეს, რის თაობაზეც გოჩა გოგიტიძემ და დავით ჯინჭარაძემ განაცხადეს სხდომის დღის წესრიგის გაცნობისთანავე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საბჭოს წევრების თვითაცილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, დიმიტრი ქარსელაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, "ელექტროობის" (მეოთხე დონე) პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით განახორციელოს ვიზიტი სსიპ -სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში 2025 წლის 3 აპრილს (მის: ქ. ბათუმი, რუსთაველის №53). ჯგუფმა შეადგინოს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად , განხორციელდა სსიპ -სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში (მის: ქ. ბათუმი, რუსთაველის №53). ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების ადმინისტრაციასა და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. დათვალიერდა სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსები. დაწესებულებაში დასაქმებული არიან მასწავლებლები, რომლებიც განახორციელებენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ზოგადი და დარგობრივი მოდულების სწავლებას . პროგრამის განმახორციელებლები ძირითადად არიან ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის დარგის სპეციალისტები და აკადემიური პერსონალი. აგრეთვე პარტნიორი ორგანიზაციებიდან მოწვეული სპეციალისტები. მათი პირადი საქმეებს ექპერტები დაწვრილებით გაეცნენ. მასწავლებლების სამუშაო დატვირთვა შესაძლებელს ხდის ერთი აკადემიური წლის განმავლობაში შეუფერხებლად განახორციელოს სასწავლო პროცესი, რაც შეეხება დაწესებულების ინფრასტრუქტურას, ვიზუალური დათვალიერებით, სივრცე სადაც განთავსდებიან პროფესიული სტუდენტები (A,B,C გარემო) შესაბამისად მოწყობილია. შენობის ვიზუალური დათვალიერების დროს აღმოჩნდა, რომ დაწესებულებას გამოყოფილი აქვს მის ხელთ არსებული ფართი, რათა სასწავლო პროცესი წარმართოს შეფერხების გარეშე, როგორც პროფესიული, ასევე საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების მიმართულებით. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები გაწერილია ისე, რომ უმაღლესი და პროფესიული პროგრამების ერთობლივად განხორციელებას არ შეეშალოს ხელი . ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო იმ პარტნიორ ორგანიზაციებს რომლებსაც თანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასთან. ესენია შპს „ენერგო პრო ჯორჯია „. შპს „ჩაქვი ასს“ და შპს „ამკა ენერჯი“ . ამასთან დაკავშირებით უშუალო ვიზიტები განხორციელდა შპს „ჩაქვი ასს“- ს როგორც მობილურ ასევე სტაციონალურ ლაბორატორიებში. აგრეთვე შპს „ ენერგო პრო ჯორჯია“-ს ერთ-ერთ ობიექტზე. ადგილობრივმა სპეციალისტებმა ექსპერტებს გააცნეს თითოეული დანადგარის ტექნიკური მახასიათებლები და მათი შესაბამისობა დარგობრივი მოდულების მოთხოვნებთან.

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს არ გამოვლენილა ხარვეზები და არ გაცემულა სტანდარტებთან შესაბამისობის და განმავითარებელი რეკომენდაციები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ელექტროობა“ (მეოთხე დონე)

ექსპერტის განცხადებით, სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია პროგრამით გათვალისწინებული რესურსით - ადამიანური რესურსი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პრაქტიკის უზრუნველყოფის რესურსი და სასწავლო გარემოს მოდულების ((A, B, C) გამტარუნარიანობა. დაწესებულებას გააჩნია მაღალი დონის ადამიანური რესურსი, მრავალფეროვანი და მიზნობრივი მატერიალური რესურსი. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას თანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული სხვადასხვა მიზნობრივ დაწესებულებასთან . ესენია შპს „ენერგო პრო ჯორჯია“ . შპს „ჩაქვი ასს“ და შპს „ამკა ენერჯი“ . ამასთან დაკავშირებით უშუალო ვიზიტები განხორციელდა შპს „ჩაქვი ასს“- ს როგორც მობილურ ასევე სტაციონალურ ლაბორატორიებში. აგრეთვე შპს „ ენერგო პრო ჯორჯია“-ს ერთ-ერთ ობიექტზე. აღნიშნული ორგანიზაციები მზად არიან მიიღონ სტუდენტები და განავითარონ მათი პრაქტიკული უნარები პროგრამით გათვალისწინებული მოდულებისა და

განრიგის მიხედვით. სტუდენტებს საშუალება ექნებათ პრაქტიკულად დააკვირდნენ მიმდინარე ტექნიკურ პროცესებს. პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეესაბამება პარტნიორი ორგანიზაციების შესაძლებლობებს. ყველა პრაქტიკული სივრცე როგორც ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში ისე პარტნიორ ორგანიზაციებში აღჭურვილია პირველადი სამედიცინოო დახმარების ყუთით, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით (ცეცხლმაქრით და სხვა) ამკრძალავი და გამაფრთხილებელი პლაკატებით, შემოწმებული დამიწების კონტურით, და დიფერენციალურ დამცავი გამთიშველებით. სივრცეების ელექტრომომარაგება ხდება 220 v. 380ვ (3-ფაზა) ელექტრული ქსელით. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობები და პასუხისმგებლობები განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებით. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს როგორც პრაქტიკული ასევე მრავალმხრივი პედაგოგიური გამოცდილება. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას აქვს მოწესრიგებული, ადაპტირებული, მოცულობითი ბიბლიოთეკა, სადაც სხვადასხვა ლიტერატურა ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონულად, ასევე მატერიალურად. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფინანსების მართვის სამსახურის მიერ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ბიუჯეტით განსაზღვრულია ფინანსური რესურსი, დადგენილი აქვს სტუდენტთა რენტაბელური რაოდენობა, შემოსავლების წყაროები, ხარჯები, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო დანახარჯები და შემოსავლები, რაც განსაზღვრავს პროგრამის განხორციელების რენტაბელობას და შედეგად უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ელექტროობის საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ჩარჩო დოკუმენტის თანახმად არ ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკის მოდულს, თუმცა პროფესიული მოდულების პრაქტიკულ კომპონენტზე დაფუძნებული სწავლის შედეგების მიღწევა ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე - რეალურ სამუშაო გარემოში. პროგრამით განსაზღვრული პრაქტიკული კომპონენტის სწავლის შედეგის მისაღწევად, ასევე გაცნობითი ხასიათის შეხვედრებისათვის გაფორმებულია მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან, რომელშიც განსაზღვრული და გამიჯნულია მხარეთა უფლება-მოვალეობები პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევ სწავლის შედეგებთან მიმართებაში, პროფესიულ სტუდენტთა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარანტიები, პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა და სხვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართ საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის "ელექტროობის" (მეოთხე დონე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :
მომხრე: 8
წინააღმდეგი : 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ

დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ემუხლის შესაბამისად, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას(ს/კ: 245427337) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული "ელექტროობა" (მეოთხე დონე)პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 3).**

მეოთხე საკითხი: სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის "საწყობის ოპერირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დიახ**

საბჭოს წევრს, გოჩა გოგიტიძეს და დავით ჯინჭარაძეს ჰქონდა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასთან აცილება, ვინაიდან წარმოადგენენ დაინტერესებულს მხარეს, რის თაობაზეც გოჩა გოგიტიძემ და დავით ჯინჭარაძემ განაცხადეს სხდომის დღის წესრიგის გაცნობისთანავე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საბჭოს წევრების თვითაცილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნიკა ჯიაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 20 მარტის N312587 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, შემადგენლობით: თავმჯდომარე - ნიკა ჯიაძე, წევრი - გიორგი ევგენიძე დაევალა ვიზიტი სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში, მისამართი: ქ. ბათუმი, რუსთაველის 53, მიმდინარე წლის 2 აპრილს, „საწყობის ოპერირება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შემოწმების მიზნით. ვიზიტის განხორციელებამდე შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი თვითშეფასება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შემდეგ დაიგეგმა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც შეთანხმდა დაწესებულებასთან. ვიზიტის დროს გავესაუბრეთ დაწესებულების ხელმძღვანელებს, ხარისხის და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის თანამშრომლებს, ბიბლიოთეკარს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიულ მასწავლებლებს დავათვალიერეთ მატერიალური რესურსი. შესწავლილ იქნა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები განხორციელდა ვიზიტი და ჩატარდა გასაუბრება პრაქტიკის ობიექტებთან. ვიზიტის დღის ბოლოს ექსპერტებმა დაწესებულებას წარუდგინეს ძირითადი მიგნებები.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.4.1.1 პროგრამით დადგენილი სწავლის შედეგების თანმიმდევრულად მიღწევის და მოდულების მოკლე დროში ათვისების მიზნით, სასურველია მოდულების „საქონლის მიღება საწყობში“ და „საქონლის დასაწყობება“ კვირეული დატვირთვის გაზრდის ხარჯზე შემცირდეს მათ განხორციელების პერიოდი, რაც ეფექტურს და საინტერსოს გახდის სწავლის პროცესს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საწყობის ოპერირება“

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების გადაწყვეტილება „საწყობის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების თაობაზე ეფუძნება დასაბუთებას, რომლის თანახმად საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების და პროექტების, ასევე საზღვაო ინდუსტრიის განვითარების ტემპის გათვალისწინებით, ქვეყანაში დასაქმების მნიშვნელოვანი შესაძლებლობებია მოსალოდნელი, რაც კვლევებით დასტურდება. საქართველოსთვის ერთ- ერთი მნიშვნელოვანი სექტორია საზღვაო და სახმელეთო გადაზიდვები, რომელიც ყოველწლიური მზარდი მაჩვენებლებით ხასიათდება. გარდა ამისა, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია 2017 წლიდან წარმატებით ახორციელებდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირება. ეს გარკვეული წინაპირობაა, რომ დაწესებულებამ დაიმატოს განახლებული „საწყობის ოპერირების პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამა. „საწყობის ოპერირების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის - 20 პროფესიული სტუდენტი (ერთ მიღებაზე) განსაზღვრისას დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკა, ადამიანური და მატერიალური რესურსის რაოდენობა და მის სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული მატერიალური რესურსები შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მინიმალური მატერიალური რესურსების დანართის სარეკომენდაციო მოთხოვნებთან. „საწყობის ოპერირების“ პროგრამის განხორციელების ფორმაა „რეალურ სამუშაო გარემოში - კოოპერაციული“. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა 20. პროგრამის გათვალისწინებით სწავლის შედეგების მიღწევა

უზრუნველყოფილია დაწესებულებისა და პარტნიორი ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, რაც დასაბუთებულია პსდ-ს სამივე სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობის გათვალისწინებით: A გარემო - ოთახები 105 და 107 (იხ. დანართი - A გარემო), რომლებიც გათვლილია 20 პროფესიულ სტუდენტზე თითოეული. B გარემოსთვის ოთახი 3007, რომელიც გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე ცვლაში. დაწესებულების პასუხის შესაბამისად შესაძლებელია სივრცეში სტუდენტების ცვლების შესაბამისად შეშვება. კომპიუტერებში ჩატვირთულია პროგრამული უზრუნველყოფა „საწყობის ავტომატური მართვის კომპიუტერული პროგრამა“, რომელიც უზრუნველყოფს ცალკეული მოდულების სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულებას შეძენილი აქვს პროგრამის სრულფასოვანი ვერსია. B გარემოსთვის ოთახები 321 და 323 (იხ. დანართი B გარემო), რომლებიც გათვლილია 20 სტუდენტზე თითო. C გარემო - აკადემიის საწყობი, რომელიც გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე ცვლაში და პარტნიორი საწარმო. კომპანიის რესურსის გათვალისწინებულია სტუდენტების ცვლებში გადანაწილება, თითო ცვლაში არაუმეტეს 5 სტუდენტისა. ამასთან, მოდულებით გათვალისწინებული ცალკეული სწავლის შედეგის მიღწევა წინასწარი შეთანხმების საფუძველზე პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე. განაცხადის მიხედვით, პსდ-ს სტუდენტების პრაქტიკული სწავლების მიზნით გაფორმებული აქვს მემორანდუმები შემდეგ კომპანიებთან: შპს სუბტროპიკი - 20 პროფესიული სტუდენტი, შპს გორგია - 15 პროფესიული სტუდენტი, შპს ნაზილბე - 15 პროფესიული სტუდენტი. ვიზიტის დროს შესწავლილ იქნა ხელშეკრულებები და გამოვლინდა გარემოება, რომ განაცხადში წარმოდგენილ ხელშეკრულებებში იყო ტექნიკური ხასიათის შეცდომა მისაღებ სტუდენტებთან დაკავშირებით. ვიზიტის დროს კი დაწესებულებამ წარმოგვიდგინა ობიექტებთან დადებული ხელშეკრულებები, რომლებშიც ჩანს, რომ პრაქტიკის ობიექტები მიიღებენ 20 პროფესიულ სტუდენტს: შპს სუბტროპიკი - 20 პროფესიული სტუდენტი, შპს გორგია - 20 პროფესიული სტუდენტი, შპს ნოვა - 20 პროფესიული სტუდენტი. თავდაპირველად განცხადებული ობიექტი „შპს ნაზილბე“ ჩანაცვლდა შპს ნოვა-თი. პროგრამის ხელმძღვანელის ინფორმაციით, შპს ნაზილბემ მოლაპარაკების ბოლო ეტაპზე თანამშრომლობაზე განაცხადა უარი და გაფორმდა ხელშეკრულება შპს ნოვასთან (იხ. დანართი - ნოვა). აღნიშნულ საწარმოს გაჩნია სხვადასხვა სახის სამშენებლო მასალის და აღჭურვილობის შესანახი სივრცეები, ტვირთის შიდა ტრანსპორტირებისთვის აუცილებელი აღჭურვილობა და მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი სხვა რესურსი. ზემოაღნიშნული ინფორმაციის, ასევე, ცენტრში წარმოდგენილი თვითშეფასებისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის, კერძოდ კი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთების და სასწავლო გეგმის შესწავლის საფუძველზე კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა პრაქტიკის ობიექტების მეერ მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის სტუდენტების გამტარობის შესაძლებლობა. ცვლილებების შესწავლის და ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ „საწყობის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. დაწესებულებამ განაცხადით წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს შემდეგ პუნქტებს - შემოსავლების და ხარჯების სახეობას. ხარჯების ნაწილი ითვალისწინებს პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურებას, სახარჯ მასალებს და კომუნალურ ხარჯებს. ასევე, ადმინისტრირების, მივლინების და სხვა ხარჯებს. პროგრამის განხორციელებისთვის აკადემია იღებს ვაუჩერულ დაფინანსებას და იყენებს საკუთარ სახსრებს. დაწესებულების ფინანსური რესურსით

უზრუნველყოფილი იქნება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართ საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის "საწყობის ოპერირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :
მომხრე: 8
წინააღმდეგი : 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ემუხლის შესაბამისად, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას(ს/კ: 245427337) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული "საწყობის ოპერირება"პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 4).**

მეხუთე საკითხი: სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის "ტვირთების ექსპედირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დიახ**

საბჭოს წევრს, გოჩა გოგიტიძეს და დავით ჯინჭარაძეს ჰქონდა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასთან აცილება, ვინაიდან წარმოადგენენ დაინტერესებულს მხარეს, რის თაობაზეც გოჩა გოგიტიძემ და დავით ჯინჭარაძემ განაცხადეს სხდომის დღის წესრიგის გაცნობისთანავე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საბჭოს წევრის თვითაცილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნიკა ჯიაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 20 მარტის ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, შემადგენლობით: თავმჯდომარე - ნიკა ჯიაძე, წევრი - გიორგი ევგენიძე დაევალა ვიზიტი სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში, მისამართი: ქ. ბათუმი, რუსთაველის 53, „საწყობის ოპერირება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შემოწმების მიზნით. ვიზიტის განხორციელებამდე შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი თვითშეფასება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შემდეგ დაიგეგმა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც შეთანხმდა დაწესებულებასთან. ვიზიტის დროს გავესაუბრეთ დაწესებულების ხელმძღვანელებს, ხარისხის და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის თანამშრომლებს, ბიბლიოთეკარს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიულ მასწავლებლებს დავათვალიერეთ მატერიალური რესურსი. შესწავლილ იქნა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები განხორციელდა ვიზიტი და ჩატარდა გასაუბრება პრაქტიკის ობიექტებთან. ვიზიტის დღის ბოლოს ექსპერტებმა დაწესებულებას წარუდგინეს ძირითადი მიგნებები.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება
2.4.1.1 პროგრამით დადგენილი სწავლის შედეგების თანმიმდევრულად მიღწევის და მოდულების მოკლე დროში ათვისების მიზნით, სასურველია მოდულების „სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის დაგეგმვა“ და „სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის განხორციელება“ კვირეული დატვირთვის გაზრდის ხარჯზე შემცირდეს მათ განხორციელების პერიოდი, რაც ეფექტურს და საინტერსოს გახდის სწავლის პროცესს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - "ტვირთების ექსპედირება"
ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების გადაწყვეტილება ,,ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების თაობაზე ეფუძნება დასაბუთებას, რომლის თანახმად საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების და პროექტების, ასევე საზღვაო ინდუსტრიის განვითარების ტემპის გათვალისწინებით, ქვეყანაში დასაქმების მნიშვნელოვანი შესაძლებლობებია მოსალოდნელი, რაც კვლევებით დასტურდება.

საქართველოსთვის ერთ- ერთი მნიშვნელოვანი სექტორია საზღვაო და სახმელეთო გადაზიდვები, რომელიც ყოველწლიური მზარდი მაჩვენებლებით ხასიათდება. განხორციელებისათვის განსაზღვრული მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და პროგრამის განხორციელებაში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულებას „ტვირთების ექსპედირება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა დაგეგმილი აქვს ერთი მხრივ დაწესებულების მფლობელობაში არსებული შემდეგი რესურსით:

● A გარემო - ოთახები 105 და 107, რომლებიც გათვლილია 20 პროფესიულ სტუდენტზე თითოეული.

● B გარემოსთვის ოთახი 3007, რომელიც გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე ცვლაში. დაწესებულების პასუხის შესაბამისად შესაძლებელია სივრცეში სტუდენტების ცვლების შესაბამისად შეშვება. კომპიუტერებში ჩატვირთულია პროგრამული უზრუნველყოფა „ტვირთების გადაზიდვის მართვის კომპიუტერული პროგრამა“, რომელიც უზრუნველყოფს ცალკეული მოდულების სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულებას შეძენილი აქვს პროგრამის სრულფასოვანი ვერსია.

● B გარემოსთვის ოთახები 321 და 323 (იხ. დანართი B გარემო), რომლებიც გათვლილია 20 სტუდენტზე. მოდულებით მიერ დადგენილი უმეტესი სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია იმიტირებულ სასწავლო გარემოში, თუმცა მოდულის „სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის დაგეგმვა“ სწავლის IV შედეგის და მოდულის „სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის განხორციელება“ II და III სწავლის შედეგების შეფასების მეთოდი მოიაზრებს პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვების პროცესს, რაც სწავლის შედეგების სპეციფიკიდან გამომდინარე შეუძლებელია განხორციელდეს იმიტირებულ გარემოში.

ექსპერტის განცხადებით, აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია პროგრამის განხორციელების ფორმა შეეცვალა იმიტირებულიდან კოოპერაციულზე და სხვა პროფესიულ პროგრამის ფარგლებში ჩართულ პრაქტიკის ობიექტ შპს „ნოვა“-სთან დამატებით გაეფორმებინა ხელშეკრულება, რაც უზრუნველყოფდა ზემოთხსენებული სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულებამ, ექსპერტთა ვიზიტის განხორციელების პერიოდში წარმოადგინა გაფორმებული ხელშეკრულება პრაქტიკის ობიექტთან. რის შედეგადაც პროგრამის განხორციელების ფორმა „იმიტირებული სამუშაო გარემოში“ (როგორც იყო წარმოდგენილი განაცხადში) შეიცვალა და გახდა კოოპერაციული. ცვლილებების შესწავლის და ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ ,,ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ტვირთების ექსპედირება“ განხორციელებაში ჩართულია 7 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელიც ახორციელებს ზოგად მოდულებს და 4 პროფესიული მასწავლებელი, რომელიც ახორციელებს 7 დარგობრივ მოდულს. ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა და დაადგინეს, რომ განმახორციელებლების რაოდენობა და საათობრივი დატვირთვა, არ აღემატება კვირაში 40 საათს და სრულად უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და

გამოიყენება სასწავლო პროცესში. დაწესებულებამ განაცხადით წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს შემდეგ პუნქტებს - შემოსავლების და ხარჯების სახეობას. ხარჯების ნაწილი ითვალისწინებს პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურებას, სახარჯ მასალებს და კომუნალურ ხარჯებს. ასევე, ადმინისტრირების, მივლინების და სხვა ხარჯებს. პროგრამის განხორციელებისთვის აკადემია იღებს ვაუჩერულ დაფინანსებას და იყენებს საკუთარ სახსრებს. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილი იქნება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

საბჭოს თავმჯდომარემ დარგის ექსპერტს მიმართა კითხვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე „ტვირთების ექსპედირება' და „საწყობის ოპერირება" გაცემულ განმავითარებელ რეკომენდაციებთან დაკავშირებით. თავმჯდომარემ განმარტა, რომ ერთი რეკომენდაცია ეხება საქონლის მიღებისა და დასაწყობების პროცესს, ხოლო მეორე — სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების მოდულების გაერთიანებას, რაც ითვალისწინებს მოდულის განხორციელების პერიოდის შემცირებას კვირეული დატვირთვის გაზრდის ხარჯზე. თავმჯდომარემ ითხოვა განმარტება, რამდენად შეესაბამება ეს ცვლილება სტუდენტთა შესაძლებლობებს, რეალურ სამუშაო გარემოს და როგორ აისახება სწავლების პროცესის ეფექტურობაზე. ასევე, დასვა კითხვა, რა რისკები შეიძლება იყოს რეკომენდაციის უგულებელყოფის შემთხვევაში.

დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნული რეკომენდაციები ატარებს მხოლოდ განმავითარებელ ხასიათს, ვინაიდან პროფესიული სტანდარტით არ არის განსაზღვრული მოდულებს შორის წინაპირობა, რაც დაწესებულებას საშუალებას აძლევს, მოდულების განრიგი და თანმიმდევრობა თავად განსაზღვროს. ექსპერტის თქმით, რეკომენდაცია დაფუძნებულია იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნული მოდულები განხორციელებულია სწავლის დასაწყისიდან მისი დასრულების მომენტამდე და გრძელდება სრულ სასწავლო პერიოდზე — დაახლოებით 90 კვირაზე. ასეთ შემთხვევაში სტუდენტს უწევს, ერთსა და იმავე მოდულზე მუშაობა პრაქტიკულად მთელი სასწავლო პერიოდის განმავლობაში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოდულის პერიოდის შეკუმშვა და კვირეული დატვირთვის გაზრდა ხელს შეუწყობს სწავლების პროცესის ეფექტურობას და კონკრეტული მოდულის ფარგლებში შედეგების დროულად მიღწევას, რაც ასევე, საშუალებას მისცემს სტუდენტს, სწავლა გააგრძელოს სხვა მოდულებზე მეტი ფოკუსით. ამავე დროს, ექსპერტმა დაადასტურა, რომ დაწესებულებას რჩება თავისუფლება, თავად განსაზღვროს სწავლის ორგანიზების მეთოდები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართ საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის "ტვირთების ექსპედირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :
მომხრე: 8
წინააღმდეგი : 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ემუხლის შესაბამისად, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას(ს/კ: 245427337) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული "ტვირთების ექსპედირება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 5).**

მეექვსე საკითხი: ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის, საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში "ტვირთების ექსპედირება" ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დიახ**

საბჭოს წევრს, ხათუნა ჩხარტიშვილს, ჰქონდა ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯთან აცილება, ვინაიდან წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს, რის თაობაზეც ხათუნა ჩხარტიშვილმა განაცხადა სხდომის დღის წესრიგის გაცნობისთანავე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საბჭოს წევრის თვითაცილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თაბუკა ციმინტია, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 18 მარტის ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა უკვე ავტორიზებულ „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში, ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების შესაძლებლობის შეფასება,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ ბ.ა) და ბ.ბ) კომპონენტების მიხედვით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განხორციელდა ჯგუფის წევრებს შორის საკითხების განხილვა/შეჯერება, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან, განხორციელდა კოლეჯის ბაზაზე არსებული მატერიალური რესურსისა და სასწავლო გარემოს დათვალიერება და შესწავლა.

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს არ გამოვლენილა ხარვეზები და არ გაცემულა სტანდარტებთან შესაბამისობის და განმავითარებელი რეკომენდაციები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ტვირთების ექსპედირება“

ექსპერტის განცხადებით, გამომდინარე იქიდან, რომ კოლეჯი ერთადერთი პროფესიული დაწესებულება, რომელიც ემსახურება საქართველოს რკინიგზის კადრებით მომარაგებას და მისი სამოქმედო არეალი მოიცავს ქვეყნის მთელ ტერიტორიას - სადაც გადის სარკინიგზო მაგისტრალები, მიმდებარედ კი ვითარდება ლოგისტიკური კომპანიები, კოლეჯის ადმინისტრაცია მჭიდრო თანამშრომლობაშია სს „საქართველოს რკინიგზასთან“ და მათი საჭიროების განსაზღვრის მიზნით ახდენს შრომის ბაზრის ანალიზს. დაწესებულებამ წარმოადგინა უკვე ავტორიზებულ პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების მიზანშეწონილობის დასაბუთება. დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ტვირთების ექსპედირება“, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული აღჭურვილობა/მატერიალური რესურსები შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მინიმალური მატერიალური რესურსების დანართის სარეკომენდაციო მოთხოვნებთან და გათვლილია ათკაციან ჯგუფებზე. კოლეჯში პროგრამის განხორციელებისთვის არსებობს სათანადო ინვენტარითა და აღჭურვილობით მოწყობილი ინტეგრირებული იმიტირებული გარემო. სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსები პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია კოლეჯში. საგანმანათლებლო რესურსი - სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიები და სპეციალური ლიტერატურა, ჩატვირთულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში და ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისათვის. ასევე, კოლეჯს შეძენილი აქვს პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა Software Carlo (ლიცენზია 10 პროფესიულ სტუდენტზე და 1 პროფესიულ მასწავლებელზე), რომელიც ხელმისაწვდომია სპეციალურ ინტეგრირებულ სასწავლო გარემოში. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ტვირთების ექსპედირება“, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა

დაეფუძნა შრომის ბაზრის კვლევას და დამფუძნებლის სს „საქართველოს რკინიგზის“ საჭიროებებს, რა მიზნითაც კოლეჯის არსებული რესურსების შეფასების შედეგად განსაზღვრულ იქნა, რომ 70 პროფესიულ სტუდენტზე მოპოვებული არსებული კვოტიდან 20 პროფესიული სტუდენტისთვის განხორციელდეს ინტეგრირებული პროგრამა.

ექსპერტის განცხადებით, პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 18 თვე, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 23 თვე. პროგრამის ხანგრძლივობა (რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები) ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 20 თვე, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 25 თვე. კოლეჯი გეგმავს წელიწადში 20 პროფესიული სტუდენტის 2 ჯგუფად (ჯგუფში 10-10 პროფესიული სტუდენტი) მიღებას, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ადამიანური და საბიბლიოთეკო რესურსის და პრაქტიკის ობიექტის შესაძლებლობების/გამტარუნარიანობის გათვალისწინებით. კოლეჯს პრაქტიკის განხორციელების მიზნით ხელშეკრულება გაფორმებული აქვს სს საქართველოს რკინიგზასთან და სს გუდვილთან, რომლებიც უზრუნველყოფენ „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 6 პროფესიული მოდულის გარკვეული საათების და მოდულებით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევას. ხელშეკრულება მოქმედებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის ვადით და თითოეული ცალ-ცალკე უზრუნველყოფს ერთდროულად არაუმეტეს 30 პროფესიული სტუდენტის მიღებას. ხელშეკრულებით პრაქტიკის ობიექტი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს სასწავლო პროცესი მატერიალური და ადამიანური რესურსით, საწარმოს ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგების ნაწილში და უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა წვდომა/დაშვება საწარმოს იმ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან (ან საშუალებებთან), რომლის გამოყენებაც აუცილებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულების მიერ შერჩეული სასწავლო გარემოებია: A, B და ABC გარემოები. ინტეგრირებული მოდულის - „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ განხორციელებისათვის საჭირო აღჭურვილობის მქონე გამოყოფილი სივრცე/ლაბორატორია. კოლეჯის მიერ პროგრამით განსაზღვრული ინვენტარი-აღჭურვილობის ფლობის დადასტურების მიზნით წარმოდგენილია სასაქონლო ზედნადებები და მიღება-ჩაბარების აქტები. დაწესებულების მფლობელობაში არსებული სასწავლო ფართი და შესაბამისი აუდიტორიების აღჭურვილობა იძლევა საშუალებას სასწავლო პროცესი სრულყოფილად განხორციელდეს. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 32 პროფესიული განათლების მასწავლებელი. აქედან, პროფესიული მოდულების განმახორციელებლად 4 პირია განსაზღვრული, ზოგადი მოდულებისთვის 12 პირი და ინტეგრირებული მოდულებისთვის 14.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის, საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში "ტვირთების ექსპედირება" ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :
მომხრე: 9

წინააღმდეგი : 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 62-ემუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს (ს/კ: 402019917) მიენიჭოს უფლება განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, "ტვირთების ექსპედირება", რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები **(დანართი 6).**

მეშვიდე საკითხი: ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის, საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში "საწყობის ოპერირება" ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დიახ**

საბჭოს წევრს, ხათუნა ჩხარტიშვილს, ჰქონდა ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯთან აცილება, ვინაიდან წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს, რის თაობაზეც ხათუნა ჩხარტიშვილმა განაცხადა სხდომის დღის წესრიგის გაცნობისთანავე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საბჭოს წევრის თვითაცილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა

დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თაბუკა ციმინტია, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 18 მარტის საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა უკვე ავტორიზებულ „საწყობის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში, ზოგადი განათლების მესამე საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შესაძლებლობის შეფასება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტის ბ.ა) და ბ.ბ) კომპონენტების მიხედვით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განხორციელდა ჯგუფის წევრებს შორის საკითხების განხილვა/შეჯერება, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან, განხორციელდა კოლეჯის ბაზაზე არსებული მატერიალური რესურსისა და სასწავლო გარემოს დათვალიერება და შესწავლა.

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს არ გამოვლენილა ხარვეზები და არ გაცემულა სტანდარტებთან შესაბამისობის და განმავითარებელი რეკომენდაციები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - "საწყობის ოპერირება"

ექსპერტის განცხადებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საწყობის ოპერირება“, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა დაეფუძნა შრომის ბაზრის კვლევას და დამფუძნებლის სს „საქართველოს რკინიგზის“ საჭიროებებს, რა მიზნითაც კოლეჯის არსებული რესურსების შეფასების შედეგად განსაზღვრულ იქნა, რომ 70 პროფესიულ სტუდენტზე მოპოვებული არსებული კვოტიდან 20 ადგილზე განხორციელდეს ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება. პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 18 თვე, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 23 თვე. პროგრამის ხანგრძლივობა (რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები) ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 20 თვე, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 25 თვე. კოლეჯი გეგმავს წელიწადში 20 პროფესიული სტუდენტის 2 ჯგუფად (ჯგუფში 10-10 პროფესიული სტუდენტი) მიღებას, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ადამიანური და საბიბლიოთეკო რესურსის და პრაქტიკის ობიექტის შესაძლებლობების/გამტარუნარიანობის გათვალისწინებით. კოლეჯს პრაქტიკის განხორციელების მიზნით ხელშეკრულება გაფორმებული აქვს სს საქართველოს რკინიგზასთან და სს გუდვილთან, რომლებიც უზრუნველყოფენ „საწყობის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 6 პროფესიული მოდულის გარკვეული საათების და მოდულებით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევას. ხელშეკრულება მოქმედებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის ვადით და

თითოეული ცალ-ცალკე უზრუნველყოფს ერთდროულად არაუმეტეს 30 პროფესიული სტუდენტის მიღებას. ხელშეკრულებით პრაქტიკის ობიექტი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს სასწავლო პროცესი მატერიალური და ადამიანური რესურსით, საწარმოს ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგების ნაწილში და უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა წვდომა/დაშვება საწარმოს იმ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან (ან საშუალებებთან), რომლის გამოყენებაც აუცილებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. აღჭურვილობის ჩამონათვალი დანართის სახით ახლავს ხელშეკრულებას. ხელშეკრულებით ასევე განსაზღვრულია, რომ პრაქტიკის დასრულებისას ისინი გასცემენ პრაქტიკის დღიურს შესაბამისი დამოწმებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულების მიერ შერჩეული სასწავლო გარემოებია: A გარემო - შერჩეულია ერთი აუდიტორია N407, სადაც განთავსებულია 10 პროფესიული სტუდენტისთვის მაგიდა და სკამი, პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის 1 მაგიდა და სკამი, დაფა, კომპიუტერი და პროექტორი; B გარემო - შერჩეულია ერთი აუდიტორია N401, სადაც განთავსებულია 10 პროფესიული სტუდენტისთვის მაგიდა, სკამი და კომპიუტერი, პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის 1 მაგიდა, სკამი და კომპიუტერი, დაფა, პროექტორი, კომბაინი; ABC გარემო - შერჩეულია ერთი ინტეგრირებული აუდიტორია N106, რომელშიც ერთდროულად განთავსებულია A, B და C გარემო და შეუძლია 3 ჯგუფის მიღება, ვინაიდან სივრცეები გამოყოფილია ერთმანეთისგან. თითოეული სივრცე აღჭურვილია 10-10 პროფესიული სტუდენტისთვის განსაზღვრული ინვენტარი-აღჭურვილობით: პროგრამისთვის განკუთვნილ კომპიუტერებში ჩატვირთულია სპეციალური ლოგისტიკური პროგრამა “Software Carlo“ (ლიცენზია 10 პროფესიულ სტუდენტზე და 1 პროფესიულ მასწავლებელზე). აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფა კოლეჯს გადასცა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებამ. C სასწავლო გარემოსთვის საწყობის ინვენტარით აღჭურვილი სივრცე.

ექსპერტის განცხადებით, ინტეგრირებული მოდულის - „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ განხორციელებისათვის საჭირო აღჭურვილობის მქონე გამოყოფილი სივრცე/ლაბორატორია. კოლეჯის მიერ პროგრამით განსაზღვრული ინვენტარი-აღჭურვილობის ფლობის დადასტურების მიზნით წარმოდგენილია სასაქონლო ზედნადებები და მიღება-ჩაბარების აქტები, როლითაც იკვეთება, რომ პროგრამის ძირითადი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა (პალეტის ხელის ჰიდრავლიკური ურიკა, ჰიდრავლიკური ტვირთამწე, შტრიხკოდის აპარატი, პლატფორმული სასწორი, პლომბინატორი, ევრო პალეტი, სხვადასხვა ზომის კონტეინერები, ყუთები, კასრები და ა.შ.) უსასყიდლოდ გადასცა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებამ. ასევე, დაწესებულებას მოდულისათვის „ სპორტი“ არჩეული აქვს მაგიდის ჩოგბურთი და ლაშქრობა/სპორტული ორიენტირება. შესყიდული აქვს მოდულით განსაზღვრული ყველა საჭირო ინვენტარი (მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა (წყალგამძლე, ბორბლებით, როგორც შიდა, ასევე გარე მოხმარებისთვის, მაგიდის ჩოგბურთის ბურთი (სტანდარტული), ჩოგნები (სტანდარტული), ტურისტული თოკი (თოკი ალპინისტური მთასვლელებისთვის, სალაშქრო, 12 მმ-მდე დიამეტრი, სიგრძე 20 მერტი), ნიჩაბი (სიგრძე 60 სმ - მდე ა.შ.) და გამოყოფილია შესაბამისი სივრცე განხორციელებისათვის. დაწესებულების მფლობელობაში არსებული სასწავლო ფართი და შესაბამისი აუდიტორიების აღჭურვილობა იძლევა საშუალებას სასწავლო პროცესი სრულყოფილად განხორციელდეს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 34 პროფესიული განათლების მასწავლებელი. აქედან, პროფესიული მოდულების განმახორციელებლად 7 პირია განსაზღვრული, ზოგადი მოდულებისთვის 13 პირი და ინტეგრირებული მოდულებისთვის 14. გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვაც, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ მათმა კვირეულმა დატვირთვამ არ გადააჭარბოს 40 საათს. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია

ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით.

საბჭოს თავმჯდომარემ დარგის ექსპერტს მიმართა კითხვით, რით განსხვავდება ელექტრონული ლოგისტიკის ორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (ტვირთების ექსპედირება და საწყობის ოპერირება) აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. კონკრეტულად დაინტერესდა, რა დამატებითი რესურსები მოითხოვა საწყობის ოპერირების პროგრამამ, რაც არ იყო საჭირო ტვირთების ექსპედირებისთვის.

დარგის ექსპერტის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ორივე პროგრამა ლოგისტიკურ მიმართულებას განეკუთვნება, მათი მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფა საგრძნობლად განსხვავდება. ექსპედიტორის საქმიანობა უმეტესწილად საოფისე ტიპის საქმიანობას მოიცავს და შესაძლებელია საოფისე სივრცეშიც განხორციელდეს, ხოლო საწყობის ოპერირების პროგრამისთვის აუცილებელია რეალურ გარემოში ისეთი აღჭურვილობის არსებობა, როგორიცაა პალეტები, შეფუთვის ტიპები, სასწორები და სხვა ინვენტარი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზუალურადაც დადასტურდა შესაბამისი რესურსების არსებობა და დაწესებულება უზრუნველყოფს როგორც შიდა მატერიალურ ბაზას, ისე პრაქტიკის ობიექტებთან თანამშრომლობას.

საბჭოს თავმჯდომარემ დასვა დამატებითი კითხვა ორივე პროგრამისთვის ერთობლივად მითითებული მატერიალური ბაზის ხელმისაწვდომობაზე — კერძოდ, როგორ უზრუნველყოფს კოლეჯი რესურსების ხელმისაწვდომობას, თუ ცვლები პარალელურად წარიმართება.

დარგის ექსპერტის თქმით, ინტეგრირებული მოდულების შემთხვევაში სწავლების განრიგი ისეა ორგანიზებული, რომ მოდულებს შორის დროითი კვეთა არ არსებობს და შესაბამისად, მატერიალურ რესურსებზე პარალელური მოთხოვნა არ წარმოიშვება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა ბატონმა გოჩა გოგიტიძემ დარგის ექსპერტს დაუსვა კითხვა კურსებზე სტუდენტთა რაოდენობის (70 აპლიკანტის) შესახებ — კერძოდ, რა საფუძველზე გადაწყდა მათგან ნაწილის ინტეგრირებულ პროგრამაში გამოყოფა.

დარგის ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული რაოდენობა თავდაპირველად განსაზღვრული იყო იმ დროს, როდესაც ინტეგრირებული მოდულები ჯერ კიდევ მომზადების პროცესში იმყოფებოდა და საბოლოო დამტკიცება ვერ მოესწრო. შესაბამისად, დაწესებულებამ ინტეგრირებული მოდულების დამატება მხოლოდ ტექნიკური მიზეზებით გადადო, ხოლო კვოტა უცვლელი დარჩა.

2024 წლის მაისში კოლეჯმა წარმოადგინა განაცხადი შრომის ბაზრის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, რის საფუძველზეც განისაზღვრა ჯგუფების რაოდენობა. სწორედ მაშინ ჩამოყალიბდა გადაწყვეტილება, რომ საჭირო იყო ინტეგრირებული მოდულის გამოყოფაც. თუმცა, აღნიშნულ პერიოდში მოხდა საკანონმდებლო ცვლილება და პარალელურად უკვე დაწყებული იყო საქმისწარმოების პროცესი – შემოწმების მიზნით იყო ჩანიშნული ექსპერტთა ვიზიტი. ამ ეტაპზე კოლეჯმა ვეღარ შეძლო ინტეგრირებული მოდულების დამატება და გადაწყვიტა მხოლოდ არაინტეგრირებული პროგრამით შემოსვლა. განმარტების მიხედვით, შრომის ბაზრის მაჩვენებლებში ბოლო 8 თვის განმავლობაში არ დაფიქსირებულა არსებითი

ცვლილება, რის გამოც ინტეგრირებული მოდულის გამოყოფის თაობაზე ხელახალი კვლევა არ ჩატარებულა. რაც შეეხება რესურსების საკმარისობაზე დასმულ შეკითხვას, წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დარგობრივი მოდულების განსახორციელებლად, „ABC სახელოსნოს“ გარდა, კოლეჯში დამატებით გამოყოფილია 2 „A“ და 2 „B“ ტიპის სასწავლო გარემო. ორივე „B“ სივრცეში დამონტაჟებულია „Carlo“ პროგრამული უზრუნველყოფა, რაც უზრუნველყოფს, რომ 3 ჯგუფს პარალელურად შეეძლოს სწავლა ერთ ცვლაში, ანუ მთლიანობაში 6 ჯგუფის მიღება არის შესაძლებელი ორწლიან რეჟიმში. დამატებით, კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერი ახორციელებს როგორც საუდიტორიო დატვირთვის, ისე მასწავლებელთა სამუშაო დატვირთვის პერიოდულ მონიტორინგს — განსაკუთრებით ახალი ჯგუფების დამატებისა ან მასწავლებელთა კორპუსში ცვლილებების შემთხვევაში. ამგვარად, კოლეჯის შეფასებით, მატერიალურ-ტექნიკური რესურსები და ადამიანური რესურსი საკმარისია პროგრამების ხარისხიანი განხორციელებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, აპლიკანტთა შერჩევის პროცესთან დაკავშირებით, კერძოდ, რატომ მიიღო კოლეჯმა მოტივაციური გასაუბრების დანიშვნის გადაწყვეტილება, რა მიზნებს ისახავს აღნიშნული პროცესი და როგორ უზრუნველყოფს კოლეჯი შერჩევის სამართლიანობას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა აპლიკანტთა შერჩევის პროცესთან დაკავშირებით შემდეგი: კოლეჯში აპლიკანტთა შერჩევის პროცესი, იქნება ეს ტესტირება თუ მოტივაციური გასაუბრება, ყოველთვის ხორციელდებოდა შესაბამისი პარტნიორი კომპანიის ჩართულობით. დაწესებულება დაარსებულია დამფუძნებლის მიერ, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული წარმოებასთან, რაც უზრუნველყოფს მჭიდრო თანამშრომლობასა და წარმოების მონაწილეობას შერჩევის პროცესში. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს კანდიდატების შეფასებას იმ კუთხით, რამდენად შეესაბამებიან ისინი კონკრეტულ სამუშაო გარემოსა და მოთხოვნებს, ასევე რამდენად პერსპექტიულად მიიჩნევენ ისინი მომავალი დასაქმების კუთხით. სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დაფუძნების პირველ ეტაპზე შერჩევის ფორმად მოტივაციური გასაუბრება ოფიციალურად არ არსებობდა. აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა კოლეჯის მიერ დამოუკიდებლად შემუშავებული ორნაწილიანი ტესტის დანერგვა. პირველი ნაწილი მოიცავდა კითხვარს, რომელიც აფასებდა აპლიკანტის პიროვნულ მახასიათებლებს, მოტივაციასა და სამუშაოს ტიპთან შესაბამისობას, რაც მოტივაციური გასაუბრების პროტოტიპად შეიძლება ჩაითვალოს. მეორე ნაწილი იყო უნარების ტესტი, რომლის შედეგებმა უჩვენა, რომ იგი ნაკლებად იყო ეფექტური კანდიდატების შერჩევის თვალსაზრისით. შედეგად, დაწესებულებამ მიიღო გადაწყვეტილება, უპირატესობა მიენიჭებინა მოტივაციური გასაუბრების ტიპის შეფასებისთვის, რომელიც პრაქტიკულად მეტად ეფექტური აღმოჩნდა. შემდგომში, როდესაც პროფესიული უნარების სააგენტომ ოფიციალურად დაამტკიცა შერჩევის სხვადასხვა მეთოდოლოგია, მათ შორის მოტივაციური გასაუბრებაც, კოლეჯმა ოფიციალურად საკუთარ შერჩევის პროცესში დანერგა აღნიშნული მიდგომა, რომლის შინაარსობრივი ნაწილი მაქსიმალურად შეესაბამება აპლიკანტის შერჩევის მიზნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის, საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში "საწყობის ოპერირება" ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :
მომხრე: 9
წინააღმდეგი : 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 62-ემუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს (ს/კ: 402019917) მიენიჭოს უფლება განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "საწყობის ოპერირება", რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები **(დანართი 7).**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 14:05 საათზე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	Front-end დეველოპმენტი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-end დეველოპმენტში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი, ვახტანგ შამილაძის ქუჩა N30
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	40
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	ელექტროობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N53
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	52
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	ელექტროობა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N53
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	100

დანართი 4

პროგრამის სახელწოდება	საწყობის ოპერირება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საწყობის ოპერირებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0416
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N53
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	20
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

დანართი 5

პროგრამის სახელწოდება	ტვირთების ექსპედირება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ტვირთების ექსპედირებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N53
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	20
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

დანართი 6

პროგრამის სახელწოდება	ტვირთების ექსპედირება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ტვირთების ექსპედირებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, თემქის მე-11 მ/რ, მე-3 კვ. ნაკვეთი 01/10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	70
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	20
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

დანართი 7

პროგრამის სახელწოდება	საწყობის ოპერირება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საწყობის ოპერირებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0416
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, თემქის მე-11 მ/რ, მე-3 კვ. ნაკვეთი 01/10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	70
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	20
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120